

დიდუბა



№1, 2014



საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა.

იაკობ გოგეჯაშვილი



KA070140939751013



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
N03/207

13 / ნოემბერი / 2013 წ.

ქ. თბილისი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის
მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებისა და "კულტურული მემკვიდრეობის" შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი:
საბავშვო ლიტერატურული ჟურნალის ტრადიცია - ჟურნალი "დილა";
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების პირველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა;
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმომადგენლის შესაბამისი დასკვნა ბრძანების პირველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე;
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


მინისტრი

მ. ოლიშვილი

მირიანე ოლიშვილი

საქართველო ოქტომბრული

№ I
საქართველო
1904 წ.
საქართველო
1904 წ.



ძეგლად ქსეულ ქუზნაღი

სულ ცოტა ხნის წინ გავაცვილეთ 2013 წელი. ჩვენი გუშინდელი დღე უკვე მოგონებებში ჩაიძირება, ისტორიის კუთვნილებად იქცევა. საბედნიეროდ, გადარჩა საუკუნეს გადაცილებული საბავშვო ჟურნალი „დილა“, რომელიც მუდამ იდგა წარსულისა და აწმყოს სადარაჯოზე. ჟურნალი „დილა“ სწორედ ის „ხიდია“ რომელიც გესაუბრებათ ხვალინდელი თუ დღევანდელი საქართველოს კულტურის, ლიტერატურის, რელიგიის, ეთიკის, ისტორიის, მედიცინისა და მეცნიერების შესახებ.

ჩემო ძვირფასო პატარა მკითხველო! საბავშვო ჟურნალ „დილის“ სახელით მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, და კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ: ისე, როგორც ყოველთვის, ჩვენი ჟურნალი თქვენი ერთგული, დაუზარელი მეგზური იქნება იმ ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც სიკეთისა და პატიოსნების საუფლო ჰქვია!

ძვირფასო ბავშვებო! როდესაც ჟურნალი სასონარკვეთისა და იმედის გასაყართან იდგა, მაშინ როდესაც ხვალინდელი დღე არცთუ ისე იმედიანი იყო, ქართველებს აღმოაჩნდათ საკმარისი სიბრძნე იმისთვის, რომ დაენახათ, რა საშინელების მოტანა შეეძლო საბავშვო ჟურნალის გაუქმებას – მოზარდი თაობისათვის სულიერ საზრდოზე უარის თქმას.

გიხაროდეთ! საბავშვო ჟურნალ „დილას“ არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა! საუკუნეს გადაცილებული საბავშვო ჟურნალი ძეგლად აღიარეს. საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ჟურნალის აღიარება ძეგლად!

ჟურნალი ძეგლად იქცა!

ძვირფასებო, ეს ძეგლი საუკუნისა და ცოტა მეტი ხნის განმავლობაში შენდებოდა!

გილოცავთ, ჟურნალი ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობისათვის მარადიული ჯეჯილობისა და სულიერი დაპურების უპირველეს სიმბოლოდ იქცა!

მინდა იცოდეთ: მიმდინარე წელს, ნოემბერში, ჟურნალს 110 წელი უსრულდება!

შეგახსენებთ, რომ დაბადებისთანავე „ნაკადულად“ მონათლულ ჟურნალს, იმთავითვე, საოცარი ჭირთათმენის უნარი დაენათლა. გზა, რომელიც საყმანვილო ჟურნალმა გამოიარა, იყო სიხარულის, ტკივილის, დროებით კრიზისისა და კვლავ აღდგენა-განახლების მძიმე, მაგრამ სიყვარულით სავსე გზა.

ამ ხნის მანძილზე ჟურნალის ფურცლებზე ბევრ ღირსეულ მწერალს თუ მხატვარს შეხვდებით. ამ მართლაც საოცარ ჟურნალს ყოველთვის ღირსეული პიროვნებები რედაქტორობდნენ: მარიამ ივანიშვილი-დემურია, ნინო ანთაძე-ნაკაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე, ბაბო ჭაჭიაშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, ენვერ ნიჟარაძე, რეზო ინანიშვილი, თენგიზ ჩალაური და... დღეს ჩემთვის დილაც „დილაა“, შუადღეც „დილაა“ და საღამოც „დილაა“, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი ცხოვრება – დილაა!

ყოველი დილა ხომ ახალი დღის დასაწყისია, ახალი დილა მზის ამოსვლით იწყება. მზეს კი სიცოცხლე, სითბო და იმედი მოაქვს ადამიანებისათვის.

საბავშვო ჟურნალი „დილას“, როგორც ყოველთვის, თავისი პატარა მკითხველისთვის დღესაც იმედი, სითბო, სიკეთე და სიყვარული მოაქვს.

ბედნიერების მომტანი იყოს თქვენთვის ყოველი დილა და „დილის“ ახალი ნომერი, ჩემო ძვირფასო პატარა მკითხველო!

დოდო ნივნივაძე



ლალი ჯაფარაშვილი

ზამთარი

ქარი ფრთაზე შეისვამს,
ცხრა მთას გადმოატარებს
და თეთრ ზამთარს მოუყვანს
მომლოდინე პატარებს.

მოვა თეთრი ბერიკაცი,
გადახედავს გარემოს,
იტყვის, მოდი, ამ ონაგრებს
გავახარებ ბარემო!

ჩამოთოვს და ჩამობარდნის
უშურველად, უხვად,
მეზღაპრიას მიუფიცხებს
მოგუზგუზე ბუხარს.

– ჭირი იქა, ლხინი აქა,
არ გყოლოდეთ მტერი!..

გარეთ ზამთრის ზანზალაკი
წკრიალებს და მღერის!

მღერის, მღერის, თან ფანჯრებზე
ვერცხლის ძაფებს ახვევს,
მაქმანსა ქსოვს იმისთანას,
ვერ დაარქმევ სახელს...





მერე ისევ, მთელი ღამე,
მთა-ბარს თეთრად ათოვს...

ქარბუქსა და სიცივეზე
მოგიყვებით სხვა დროს.

ლალი მაჭიშვილი

ზეცის დედოფალს ჰგავდა

ფიფქის უთეთრეს სამოსით
ზეცის დედოფალს ჰგავდა,
ჩამოდიოდა, კიდედა
თოვლის უთეთრეს ფარდას.
ჯადოსნურ სახლებს აგებდა,
სართულს სართულზე დგამდა
და უყვებოდა ტყისპირებს
ვარსკვლავთა ღამაზ ამბავს.



მეკვლეები

– შენ როგორ ფიქრობ, ტყუპისცალო, დაიკო ნიტა,
 სანტა კლაუსი საახალწლოდ რას ჩამოგვიტანს?
 – მე – ბროლის ქოშებს, ნუგზარ-ნუგზარს... შენ, ჩემო ნიკა,
 ძვირფას საჩუქრებს ჩამოგვიტანს, გულმშვიდად იყავ!..
 – კიდეც რა გვინდა? რა ვისურვოთ? რაღა ვინატროთ?
 ამ საახალწლოდ კიდეც რა გვსურს, ჩემო ნიტატო?
 – რადგან მეკვლედ ვართ, დავისწავლოთ ლექსი, გალობა
 და ყოველ ოჯახს ვუსურვილოთ ბედსვიანობა.

მანდ რას ჩამგდარხარ? რას ჩასცქერი, რას ჩაჰკირკიტებ?
 მოსავლელი გვაქვს სახლით სახლი და კილით კიდე.
 კაცი ხარ, ადექ, იქნებ ავტო ააქაქანო,
 თოვლის ბებო და თოვლის ბაბუ რომ გავგაქანოს.

რას ჩამოვმსხდარვართ? აბა, ავდგეთ, ვიჩქაროთ აბა...
 მოდღურული ხარ... ადე, დედა მაგ ცხვირ-პირს დაგბანს.
 ადექი დროზე!.. წინ შორი და გრძელი გზა გვიდევს,
 მოსავლელი გვაქვს დედამინა, კილითი კიდე.

ვიჩქაროთ!... დროზე ადექი და დაქოქე ავტო
 ჩვენ თოვლის ნაცვლად სიხარულის ფიფქები გვათოვს...



წუნკი წრუნუნა

ბონგო
მაცაბერიძე

მხატვარი ლამა სულაკაური

ვერ მოიშალა წუნკობა
ერთმა პატარა წრუნუნამ,
დედის მოტანილ კაკლეულს
ნეტავ რა გემო უწუნა?



დაჰკრა ფეხი და ერთ ბელელს
გამოუჩიჩქნა ჭუჭრუტი .
ბინასაც აქ დავიდეხო –
ვაიძახოდა ჩურჩუტი.

ზიდა და ზიდა სიმინდის
ჯერ ტარო, მერე მარცვალი...
ზღვა კოვზით დაილიაო,
სიბრძნე ყოფილა მართალი;



ბელლის პატრონსაც ერთ დილით
ბელელი დახვდა დაცლილი,
– ქურდი მინახავს, მაგრამ ეს
წუნკი ყოფილა ნამდვილი.

ჰოდა, ადგა და ჭუჭრუტის
ახლოს ხაფანგი ჩაუდგა...
მე იმას, ვერა, ვერ გეტყვით,
რა დღეც წრუნუნას დაუდგა...



ჭუჭრუტი – (ავტ.) ხვრელი, ჭუჭრუტანა

თავსატუნი



ამ ნახატში შეგიძლია ამოიკითხო „ჟურნალი დილა“, თუმცა ასო-ნიშნები ისეა გაბნეული და დამალული, მათი შეგროვება და აწყობა გვარიან თავსატეხს გაგიჩენს.

გამოცანები

გზია ჩხეტიანი

მას რომ გზა და ნაბიჯი აქვს, სამოც-სამოც-სამოცია, დარბის, საქმე გამიჭირვა დღე და ღამე დალოცვილმა. მის წკრიალში გამითენდა, მის წიკნიკში ჩამობინდდა, დარბის, ითვლის ნაბიჯებს და არ ისვენებს, არ მოსწყინდა!

ნამცეცა და ტანწვრილი გზაზე მიდის ყმანვილი, წელში გამონკეპილი, ხალათემოტკეცილი. ზურგზე ადევს ტვირთი, გზას შინისკენ მისდევს, იმხელაა ტვირთი, აღარც კი ჩანს ტვირთქვეშ.

მხატვარი
ნანა სანაია



ფეხბურთელი თხევები

ნინო მჯანელი



ერთხელ სათახვეთში მოწყენილმა თახვებმა გახალისება გადანყვიტეს, მაგრამ რა ექნათ, არ იცოდნენ. ჰოდა, ვისთვის უნდა მიემართათ, თუ არა ენაჭარტალა და ცნობისმოყვარე კაჭკაჭისთვის. მასაც მეტი რა უნდოდა – ისედაც უკითხავად მოაღებდა-ხოლმე ნისკარტს და, თუ ვინმე რამეს შეეკითხებოდა, მაშინ რაღა გააჩუმებდა. ახლაც შემოჯდა ხის ტოტზე და ეჭვით გახედა თახვებს.

– ეჰ, ფეხბურთი მინდოდა მერჩია, მაგრამ კარგად შემოგხედეთ და მივხვდი, თქვენგან ფეხბურთელები არ გამოვა.

– ვითომ რატომ? – იწყინეს თახვებმა. არადა, ისიც არ იცოდნენ, რას ნიშნავდა კაჭკაჭის ნამოსროლილი ეს სიტყვა.

– რა ვიცი, თუ გინდათ, სცადეთ, მაგრამ იცოდეთ, გარჯა მოგინევთ, – უკან დაიხია კაჭკაჭმა, ცოტა არ იყოს შეშინდა, მაინც თახვები არიან და კბილი არ გამკრანო.

გულით გაიხარეს თახვებმა და, რახან კაჭკაჭი ადამიანის მოგონილ ყველა საქმეს თვალდახუჭული იცნობდა, ფეხბურთის მწვრთნელობაც მას მიანდეს.

– ჯერ ორ გუნდად უნდა გაიყოთ, – ამაყად ჩამოსძახა კაჭკაჭმა, რომელსაც თახვებმა შემოკლებით კაჭო შეარქვეს.

მართალია, გუნდებად გაყოფაზე ცოტა იძიძგილავეს, მაგრამ ნამდვილი ომი მაშინ გაიმართა, როცა გაირკვა, რომ ზოგ თახვს სათადარიგოში მოუწევდა ჯდომა. როგორც იქნა, მოაგვარეს ეს ამბავიც.

– დავინყეთ თამაში! – ნამოიყვირა ერთ-ერთმა თახვმა და ყველა გაიქცა მინდორში, სადაც ბალახი ზოგს ყელამდე, ზოგს კი მხრებამდე სწვდებოდა.

– საშინელებას სჩადიხართ! – გაბრაზდა კაჭო, – ასეთ მინდორში ვინ დარბის? ჯერ ბალახი უნდა გაკრიჭოთ.

– ეჰ, ამდენი თუ ვიშრომეთ, რაღა გართობა გამოვა, – აწუნუნდნენ თახვები, მაგრამ ისე აინტერესებდათ, ნეტავ, როგორია ფეხბურთიო, რომ კაჭოს ეს რჩევაც უხალისოდ, მაგრამ, რაც მთავარია, შეასრულეს.

– დავინყეთ! – ისევ ნამოიძახა რომელიღაც თახვმა ნამოიძახა და ახლა ყველამ ერთად დაიწყო ხტუნვა.

– რა ჰქვია მაგას! – მთლად გადაირია კაჭო, – როგორ უნდა გავიგოთ, ვინ ვინ ხართ! სათანადოდ გამოენყეთ!

უკმაყოფილო თახვებმა გუბის პირას მიიღბინეს, კარგად ჩააცქერდნენ საკუთარ გა-



მოსახულებებს და, რომ დარწმუნდნენ, მშვენიერი ქურქი ემოსათ, მოლუშულები ისევ მინდორზე დაბრუნდნენ. თან ერთმანეთში ბუტბუტებდნენ, ეგ კაჭო მთლად ჭკუაზე ვერ უნდა იყოსო.

კაჭომაც შეატყო, რომ თახვებს მაისურებსა და შორტებში ვერ გამოაწყობდა, ამიტომ ნომრები მაინც დაინერეთო, – ამ თხოვნას დასჯერდა.

ახლა კი გახალისდნენ თახვები, თათები ლაფში ამოისვარეს და ერთმანეთს ზურგი ნაირ-ნაირი ნომრებით აუჭრელეს.

– ეს რაღაა, ამდენი ნომერი ზურგზე რა ამბავია?! – თვალები შუბლზე აუვიდა კაჭოს, მაგრამ მერე ფრთა ჩაიქნია, რაც არის არისო.

თახვებს ეგონათ, ბოლოს და ბოლოს თამაშს დავიწყებთო, მაგრამ კაჭო ნისკარტს არ აჩერებდა, ახლა დაიჩემა, უბურთოდ რა ფეხბურთი იქნებაო.

ბურთის რა გითხრათ, მაგრამ თახვებმა მოზრდილი კაკალი კი მარდად გაიგდეს ფეხქვეშ.

– ეგ ფეხბურთი კი არა, ფეხკაკალია, – გასჩხაოდა კაჭო, თუმცა რომ შეატყო, თახვისშვილი ყურს არ უგდებდა, კაკალს თავი დაანება და ახლა მსაჯი მოინდომა თავისი წითელ-ყვითელი ბარათებით.

თახვები ბარათებს სად იპოვიდნენ, ამიტომ ფერად ფოთლებს დასჯერდნენ, მსაჯად კი ლერწამივით გრძელი და წვრილი კურდღელი მოიყვანეს, გრძელი ყურები აქვს და ყველაფერს კარგად გაიგებსო.


– მთავარია, კარგად დაინახოს, – ისევ გასჩხაოდა კაჭო, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

მინდორზე ისეთი ქაოსი ატყდა, კაჭოს „ნესრიგის“ ძახილით ხმა სულ ჩაუწყდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დარჩა სათახვეთი ფეხბურთელი თახვების გარეშე. აბა, რა ფეხბურთი, რის ფეხბურთი – ამდენ სირბილში ერთ-ერთს მოშვიდა კიდეც, კაკალს სდია, სდია, როგორც იქნა, თათში ჩაიგდო, უცებ პირში გაიქანა და გააკნატუნა.

– ეს რა ჩაიდინე? – გადაირივნენ სხვა თახვები, გამოუდგნენ წესების დამრღვევს, ტყის ბოლომდე სდიეს, მაგრამ მერე გონება გაუნათდათ – ჩვენც მაგრები ვართ, მოდი, სხვა კაკლით ვითამაშოთო. ასეც მოიქცნენ, თუმცა ხან რომელ თახვს შეახსენა თავი მშიერმა მუცელმა, ხან რომელს.

მოკლედ, სულ ცოტა ხანში თახვების ფეხბურთი კაკლის ჭამად გადაიქცა.





დიდებული

მთელი ფლორენცია აღ-
ტაცებული იყო ლუდოვი-
კო ბუნაროტის შვილის
ხელოვნებით; მარტო ლუ-
დოვიკოს არ უნდოდა შვი-
ლის ნახვა, არც ლაპარაკი
მის შესახებ. ძალიან უწყ-

რებოდა მოხუცი ახალგაზრდა მიქელანჯელოს, რომელმაც მიატოვა მა-
მის ნაჩუქარი ფლეიტა, არ მოისურვა მუსიკის სწავლა, ლათინურ სკოლასაც თავი დაანება და მამის
ოჯახი უბრალო სახელოსნოზე გაცვალა.

ლუდოვიკო ბუნაროტი ამაყობდა თავისი ძველი შთამომავლობით და სურდა, მისი საყვარე-
ლი შვილი დიდებული და მდიდარი კაცი გამოსულიყო. მიქელანჯელომ კი დაამცირა თავისი გვარი:
მხატვრის სახელოსნოში ბიჭად შევიდა და ხელოსნობა მოინდომა.

– ბუნაროტის გვარში არ ყოფილან ქვისმთელელები! – ჯავრობდა მოხუცი ლუდოვიკო.

უნდოდა, სრულებით დაევიწყებინა შვილი და ოჯახში მისი სახელის ხსენებაც აკრძალა. ფლო-
რენცია კი თითქოს დასცინოდა მოხუცს: დიდიან-პატარიანად ყველა მიქელანჯელოზე ლაპარაკობ-
და. ამბობდნენ, თვით ჰერცოგმა ლორენცო მედიჩიმ სიყვარულით მიიღო ახალგაზრდა ხელოვანი
და მამის მაგივრობას უწევსო.

როცა ამგვარი ხმები ესმოდა, მოხუცი ლუდოვიკო უფრო და უფრო იღუშებოდა. ცდილობდა,
შვილს არ შეხვედროდა და შეუთვალა კიდეც ანჯელოს, თვალთ არ დამენახო. მაგრამ როდესაც
ჰერცოგის კაცი მიუვიდა და სასახლეში მიიწვია, მოხუცს ძალიან გაუხარდა; ენატრებოდა შვილი,
უნდოდა თავისი თვალთ ენახა და დარწმუნებულიყო იმაში, რასაც ლაპარაკობდნენ.

* * *

ძველ სასახლეს ირგვლივ ბაღი ერტყა. ბაღში ძველი ქანდაკებები იდგა, სასახლის დარბაზებში
კი შეკრებილი იყო საუკეთესო ხელოვანთა ნახატები. იქ შეკრებილ საუნჯეს ფლორენციის გარე-
თაც შორს ჰქონდა სახელი განთქმული. მგოსნები, მეცნიერები და მხატვრები მედიჩის სასახლის
მუდმივი სტუმრები იყვნენ. ლორენცო მედიჩი ცნობილი იყო მთელ იტალიაში, როგორც ხელოვნე-
ბისა და მეცნიერების მფარველისა.

ერთხელ თავის ბაღში სეირნობის დროს ჰერცოგმა ხეივანში ერთ ძველ ქანდაკებასთან მაღალი,
ტანადი, მზისაგან გარუჯული ჭაბუკი დაინახა.

ჭაბუკს ხელში მარმარილოს ნატეხი ეჭირა და დანით ჭრიდა; იგი ფავნუსის თავს აქანდაკებდა.
ისე იყო გართული თავისი საქმით, რომ ვერ შეამჩნია ცნობისმოყვარე სა-

სახლის პატრონი. მეორე დღეს ჭაბუკი ისევ ისე
ბეჯითად მუშაობდა; მესამე დღეს მარმარი-
ლოს ნატეხმა უკვე გარკვეული ფორმა მიიღო.
მეოთხე დღეს კი ბაღში მისული ჭაბუკი ძალიან
შენუხდა, რადგან თითქმის დამთავრებული ნა-
მუშევარი თავის ადგილას აღარ
დახვდა. მწუხარედ მოავლო თვა-
ლი ირგვლივ და ამოიოხრა. ამ
დროს ბუჩქებს იქიდან გამოვი-
და უბრალოდ, თითქმის ღარი-
ბულად ჩაცმული ორმოცი წლის
კაცი და ჭაბუკს სახელი ჰკითხა.
მანაც მიუგო, მიქელანჯელო
ბუნაროტი მქვიაო.




„ახალგაზრდა მიქელანჯელო კვეთს ფავნუსის თავს“.



უცნობმა მოჰკიდა ხელი ჭაბუკს და სასახლისაკენ წაიყვანა. შევიდნენ, გაიარეს რამდენიმე დარბაზი და ერთში შეჩერდნენ:

– აი, მიქელანჯელო, შენი ხელოვნების ნაყოფი; ის ღირსია, რომ დაამშვენოს ეს დარბაზი. მე, ლორენცო მედიჩმა, ვბრძანე ეს... დღეის ამას იქით ჩემი სასახლე შენი სახლიცა და სახელოსნოც უნდა იყოს.


ამის შემდეგ ლორენცოს აგარაკი ახალგაზრდა მიქელანჯელოსთვის მშობლიურ ოჯახად, სკოლად და სახელოსნოდ იქცა. მხატვრები და სწავლულები – სასახლის მუდმივი სტუმრები – მისი მეგობრები და ხელმძღვანელები გახდნენ. ფლორენციას უყვარდა ხელოვნება; ქალაქი მდიდარი იყო ნიჭიერი ხალხით, მაგრამ მიქელანჯელოს ბავშვური ხელებით გამოქანდაკებულმა ფავნუსის თავმა ყველა გააოცა.



ფლორენციელი

არ უნდოდა მისვლა და ნახვა თავისი შვილის ქმნილებისა. მაგრამ როდესაც მოხუცი თვითონ ჰერცოგმა მიიწვია სასახლეში, რასაკვირველია, აღარ ალოდინა. მედიჩის ძველ გვარს დიდ პატივს სცემდა იგი ლუდოვიკო.

სიხარულით გაეშურა ანჯელო მამის შესახვედრად, მაგრამ ლუდოვიკო ამაყად სდუმდა; პასუხი არ გასცა შვილს მისალმებაზე, დიდხანს, დიდხანს უცქერდა მიქელანჯელოს გამოკვეთილ ქანდაკებას და ჩუმ-ჩუმად გადახედავდა ხოლმე მოშორებით მდგარ შვილს.



შემდეგ დიდხანს ესაუბრა ჰერცოგს, პოლიციანოს, ბერტოლდო დი ჯოვანისა და დონატელოს.

სასახლიდან ლუდოვიკო კმაყოფილი, მაგრამ გარინდებული გამოვიდა. მთელი გზა სახლამდე ისე გაიარა, უკან არ მოუხდავს და მხოლოდ სახლის კარებთან ანიშნა შვილს, რომელმაც მამა გამოაცილა, მიახლოებოდა. მოჰკიდა ხელი და შეიყვანა სახ-

ლში, საიდანაც სამი წლის წინათ წავიდა მიქელანჯელო.

– შენ არ შეგიგრცხვენია ბუანოროტის გვარი და ჩემი ოჯახი! – თქვა გაბრწყინებულმა ლუდოვიკომ.

და თითქოს უცებ განათდა დაღვრემილი ძველი ქვის სახლი ლუდოვიკოსი: გაცოცხლდა, გაჩაღდა სანთლებით, გასუქდა სიხარულით. ჰერცოგი, პოლიციანო, დონატელო, – ყველანი კმაყოფილი არიან მიქელანჯელოსი. მედიჩისა და ბუონაროტის მეგობრობა! – აი ეს მესმის...

მაგრამ ამნაირ მეგობრობაზე როდი ოცნებობდა ანჯელო; ის მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, ერთი რამ ენატრებოდა: თავისი საყვარელი ხელოვნება. ხელოვნების სიყვარული ნიშნავდა იმას, რომ ახალგაზრდა კაცს უნდა შეეწირა მისთვის მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ფიქრები და დრო და ეცოცხლა მხოლოდ ხელოვნებითა და ხელოვნებისათვის.

– ხელოვნება საყვარელი იპყრობს ადამიანს, მოითხოვს მისგან დაუშრეტელ შრომას! – ასე ფიქრობდა ანჯელო. მასწავლებელთა ხელმძღვანელობით შრომობდა, ეცნობოდა ახალ და ძველ ხელოვანთა ნაწარმოებებს, ცდილობდა, შეესწავლა ცხოვრება და დაუცხრომლად შრომობდა თავის ქანდაკებებზე; დადიოდა ბაზარში



ლორენცო მედიჩი



და იქ აკვირდებოდა თევზებისა და ფრინველების აგებულებას; ღამლამობით მიდიოდა მონასტერში, სადაც ანატომიური კაბინეტი იყო გამართული და იქ ეცნობოდა ადამიანის აგებულებას, კუნთებისა და სხეულის წყობას. ხშირად ხედავდნენ მას ქალაქის ბაღში მოხეტიალეს: დიდხანს, მდუმარედ ჩერდებოდა ხოლმე ქანდაკებების წინ, რომლებითაც ასე მდიდარი იყო ფლორენცია. ყველაფერს აღნიშნავდა და ხატავდა თავის რვეულში.

ხანგრძლივი, ყველასათვის უჩინარი, მძიმე მუშაობა ნთქავდა მრავალ საათს, დღეებსა და წლებს, სანამ გამოაქანდაკებდა ისეთ დიდებულ ნაწარმოებს, რომელიც ყველას იზიდავდა. განებივრებულ ფლორენციელებს უკვირდათ მოქანდაკე მიქელანჯელოს სასწაულთმოქმედება, – ისე ადვილად აქცევდა ის მარმარილოს დიდ ნატეხს საუცხოო მშვენიერ ქანდაკებად. მაგრამ ბევრმა არ იცოდა, თუ რამდენ ტანჯვას, მღელვარებას, უძილო ღამეებს გამოივლიდა ხოლმე, ხელოვანი სანამ ასეთ საოცარ რამეს შექმნიდა. თორმეტი წლიდან დაივიწყა მან, რა არის თამაში და გართობა. როდესაც მისი ტოლები მხიარულობდნენ, მარტო ის მუშაობდა დაუღალავად.

მთელი ფლორენცია ლაპარაკობდა ახალგაზრდა ხელოვანზე, თვითონ ის კი წყნარად და საიდუმლოდ მუშაობდა თავის ახალ ნაწარმოებზე, არავის უშვებდა სახელოსნოში... მიქელანჯელოს „დავითის“ დადგმა ფლორენციის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა. ოცდაცხრა წლის ხელოვანი იმ დროის უდიდეს მოქანდაკედ აღიარეს. მისი ბიოგრაფი, ჯორჯო ვაზარი წერს: „როცა მიქელანჯელომ საფარველი გადახადა თავის „დავითს“, ხელოვნების ამ სასწაულმა დაჩრდილა ყველა ქანდაკება – თანამედროვე და ანტიკური, ბერძენთა და რომაელთა. მიქელანჯელომ ჭეშმარიტი სასწაულით გააცოცხლა ის, რაც მკვდრად ითვლებოდა.“ დღესდღეობით „დავითი“ ფლორენციის ხელოვნებათა აკადემიის შენობაში დგას.

წლობით მუშაობდა ხოლმე ანჯელო ფერნერაზე და ივიწყებდა ქანდაკებას. რომის პაპის, იულიუს II-ის დაკვეთით მან მოხატა სიქსტის კაპელა (1508-1512 წლები). ეს არის ბიბლიური ისტორია სამყაროს შექმნიდან წარღვნამდე და შეიცავს 300-ზე მეტ ფიგურას. 1534-1541 წლებში იმავე სიქსტის კაპელაში პაპის, პავლე III-ისათვის მიქელანჯელო ქმნის დრამატულ ფრესკას „საშინელი სამსჯავრო“...



მაგრამ თვითონ მიქელანჯელოს მარმარილო ერჩინა ტილოს და მართლაც რომ სასწაულს ახდენდა. შეეძლო, უხეში მარმარილოს ნატეხი მშვენიერ, საოცარ ქანდაკებად ექცია. მხოლოდ თვითონ მხატვარი, ყველაზე მკაცრი მსაჯული, იყო ხოლმე უკმაყოფილო თავისი ნაწარმოებისა, ხშირად რისხვით ანთებულს ჩაქუჩის ერთი დაკვრით დაუმტვრევია დაუმთავრებელი ქანდაკება და შემდეგ ისევ შესდგომია იმავე საქმეს მარმარილოს ახალ ნაჭერზე. ხშირად იყო სევდიანი, დაღონებული, ფიქრებში გართული, და არავინ იცოდა, რა იყო მისი მწუხარების მიზეზი.

მარტოდმარტომ განვლო მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრება. მთელი სიცოცხლე შესწირა ხელოვნებას, რომელიც ბავშვობიდანვე შეიყვარა და მისი ერთგული დარჩა სიკვდილამდე. მთელი მისი სიცოცხლე დაუცხრომელი შრომა იყო.

ოთხმოცდაცხრა წელიწადი იცოცხლა მიქელანჯელომ. დიდება ჭაბუკობის დროს მოიხვეჭა და უკანასკნელ დღემდის დაუღალავად შრომობდა. ამბობდა, რომ სრული წარმატება მხოლოდ დაუცხრომელი, მძიმე შრომით მოიპოვებაო.

„ნაკადული“, 1915 წ. №12





գիտնական
սխառ
8 Բժա



Գրիտիկ



ვინ აკაკუნებს?

მხატვარი რონა შელეზია

ესპანური ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ტყის პირას, ზედ გზასთან, იდგა ქვისგან ნაგები უბადრუკი ქოხმახი. ამ პატარა ქოხში მარტოხელა ქალი ცხოვრობდა, ძალზე მოხუცი და ღარიბი. თავი რომ ერჩინა, სელს ჭრიდა, წნავდა და ტყიდან მოშორებით მცხოვრებლებს მიჰყიდდა ხოლმე.

არც შვილები ჰყავდა, არც შვილიშვილები. არავინ ეგულებოდა ქომაგად. ტყე კი დიდია – რა არ მოხდება, რა იცი, ვინ მიადგება ღამის ნყვდიადში! ამიტომ, მოსალამოვდებოდა თუ არა, დედაბერი გულდაგულ ჩარაზავდა კარ-ფანჯრებს!

ერთხელაც, ღამით, ჭექა-ქუხილი ატყდა. აცახცახდა ძველისძველი ქოხი. თავსხმა წვიმა ახმაურდა დაფხავებულ სახურავზე. დედაბერი კერიას მიჰფიცებოდა და ავდრის ხმას აყურადებდა.

უცებ ესმის, კარზე ვირაც აკაკუნებს! ქალი შეკრთა, ვინ უნდა ყოფილიყო ასეთ დროს? კვლავ დააკაკუნეს, ახლა უკვე ისე ძლიერად, რომ ქალს შიშით მუხლები აუკანკალდა. კართან მიცუხცუხდა და იკითხა:

– ვინაა?

კარს უკან მამაკაცის ხმა გაისმა:

– გამიღე! დალილი ვარ, მცივა, მთლად გავიწუნე!

– კი მაგრამ, ვინა ხართ?

– ხოსე! – თქვა თავისი სახელი მგზავრმა.

მაგრამ დედაბერს ცოტა ყურს აკლდა და ავდრის ხმაურში ვერ გაიგონა, კარს უკან რა უპასუხეს. ხელახლა ჩაეკითხა:

– თქვენი სახელი?

მაშინ მგზავრმა იფიქრა, ჩემი სრული სახელის გაგება უნდაო და მთელი ხმით იყვირა:

– ხოსე მარია ანდრეს ფლორეს ფერნანდეს დე ლა ფრონტერა!



რასაკვირველია, თქვენც, მეგობრებო, განცვიფრდებოდით ასეთი გრძელი სახელის გაგონებაზე, მაგრამ ესპანეთში ხშირად ადამიანს ერთს კი არა, სამ სახელსაც არქმევენ. უფრო მეტიც, მამაკაცებს მეორე სახელი შეიძლება ქალისაც ერქვას. წარჩინებული ბატონები კი სამ სახელს ორ გვარსაც უმატებენ – დედის გვარს და მამის გვარს. მგზავრი თურმე ცნობილი თავადი იყო და ამ ორ გვარს მშობლიური ციხესიმაგრის სახელწოდებაც დაემატა. ასე მხოლოდ ქალაქელები მოიხსენიებენ თავს. დედაბერს კი, მუდმივად ტყეში რომ ცხოვრობდა, ესოდენ გრძელი სახელი არ სმენოდა.

მგზავრმა კიდევ ერთხელ დაიყვირა:


– ხოსე! მარია! ანდრეს! ფლორეს! ფერნანდეს! დე ლა ფრონტერა!

ერთბაშად ამდენი სახელის გაგონებაზე დედაბერი მეტისმეტად შეშინდა. თანაც ქუხილი გაისმა და მას მოეჩვენა, რომ მთელი ლეგიონი მოსდგომოდა მის უბადრუკ ქოხს.

პასუხად შესძახა:


– ო, არა! ჩემი ქოხი ძალიან პატარაა საიმისოდ, რომ ამდენი ხალხი შემოვუშვა! მხოლოდ ორი სკამი მაქვს. ხოსეს და მარიას დავსხამ, მაგრამ ანდრესი სად დავდებ? დავსხამ ანდრესსა და ხოსეს, დე ნლა ფრონტერა კი განაწყენდება. ხოლო ფერნანდესი და ფლორესი, ალბათ, ჩხუბისთავები არიან, ყირაზე დამიყენებენ ქოხს. მე რას გავხდები, ეს ბებერი ქალი? აბა, გასწი შენი გზით!

აკაკუნა და აკაკუნა მგზავრმა. ქალმა კი არა და არ გაულო კარი. წარჩინებულ თავადს მთელი ღამე წვიმაში ტალახიანი გზის ტკეპნა მოუხდა.



თარგმნა
ლალი პრეზვაკა

მათემატიკური თავსატეხი



ჩანერე ცარიელ წრეებში რიცხვები ისე, რომ მათი ჯამი გადაკვეთაზე კვადრატში ჩასმული რიცხვის ტოლი იყოს.



კომბინატორიკა

პრესკონფერენციაზე დამსწრე ჟურნალისტებს წინასწარ შეურჩევენ ხოლმე მაგიდებს. მათ ჟურნალისტებს თავ-თავიანთ მაგიდებზე ხვდებოდათ წარწერები: „პირველი არხი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „მაესტრო“, „კავკასია“ და ა. შ.

განვიხილოთ ასეთი ამოცანა: რამდენნაირად შეიძლება დავსვათ ოთხ მაგიდასთან ოთხი ჟურნალისტი? ასეთი სახის ამოცანებს სწავლობს მათემატიკის ნაწილი, რომელსაც კომბინატორიკა ეწოდება.

პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი – მარტივიდან რთულისაკენ – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათემატიკის სწავლების პროცესში, ამიტომაც ამ ამოცანის განხილვა უმარტივესი შემთხვევიდან დავიწყოთ.

მაშ ასე, რამდენნაირად შეიძლება დავსვათ მაგიდასთან ერთი ჟურნალისტი? ცხადია, აქ ერთადერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამ ფაქტს მათემატიკაში ასე აღნიშნავენ $P_1=1$.

რამდენნაირად შეიძლება დავსვათ ორ მაგიდასთან ორი ჟურნალისტი? ადვილი ამოცანაა, იტყვიან თქვენ და ეს მართლაც ასეა. აქ სულ ორი შემთხვევაა შესაძლებელი: პირველ მაგიდასთან დავსვათ ერთი და მეორესთან – მეორე, ან პირიქით. ის შედეგი, რაც ჩვენ ახლა მივიღეთ, მათემატიკურ ენაზე ასე ჩაიწერება: $P_2=2$.

რამდენნაირად შეიძლება დავსვათ სამ მაგიდასთან სამი ჟურნალისტი? მოდით, ჟურნალისტები ლათინური ანბანის სანყისი ასოებით დავნომროთ: a, b, c.

მათემატიკურ ენაზე თუ გადავთარგმნით ამ ამოცანას, მივიღებთ: {a, b, c} სიმრავლის ელემენტები რამდენნაირად შეიძლება დავალაგოთ? გვაქვს:

a	bc	b	ac	c	ab
a	cb	b	ca	c	ba

ამრიგად, სულ ექვსი ვარიანტი გვაქვს, ანუ $P_3=6$.


დავაკვირდეთ P_3 -ის მიღების წესს. თავდაპირველად პირველ ნომრად ავიღეთ a ელემენტი, დარჩენილი ორი ელემენტი (b და c) გვაძლევს ორ შესაძლო ვარიანტს (bc ან cb), ამიტომ იმ შესაძლებლობათა რაოდენობა, რომელიც a ელემენტით იწყება, ორია. ასევე გვაქვს b და c ელემენტით



დანყების შემთხვევაშიც; ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ $P_3 = P_2 + P_2 + P_2 = 3 P_2$. ანა-
ლოგიურად, ოთხელემენტის სიმრავლის შემთხვევაში $P_4 = P_3 + P_3 + P_3 + P_3 = 4 P_3$ და ა. შ.
საბოლოოდ მივიღებთ:

- $P_1 = 1$
- $P_2 = 1 \times 2$
- $P_3 = 1 \times 2 \times 3$
- $P_4 = 1 \times 2 \times 3 \times 4$
- $P_5 = 1 \times 2 \times 3 \times 4 \times 5$

და ა. შ.



მაშასადამე, უკვე ამოვხსენით ჩვენს მიერ დასმული ამოცანა: ოთხი ჟურნალისტი ოთხ მაგიდასთან შეიძლება დავსვათ $P_4 = 24$ სხვადასხვა გზით. მაგრამ ეს პასუხი რა მოსატანია იმ გასაოცარ კანონზომიერებასთან, რაც ამ ამოცანის ამოხსნის პროცესში დავადგინეთ.

მიღებული ნამრავლებისათვის მათემატიკოსებს აქვთ სპეციალური სიმბოლო $1=1!$, $1 \times 2=2!$, $1 \times 2 \times 3=3!$, $1 \times 2 \times 3 \times 4=4!$ (იკითხება „ოთხის ფაქტორიალი“). ასეთი ნამრავლების გამოთვლა იმდენად მნიშვნელოვან მათემატიკურ მოქმედებათა რიცხვს განეკუთვნება, რომ საინჟინრო მიკროკალკულატორში მას ცალკე კლავიში აქვს გამოყოფილი, რომელზეც $N!$ -ია აღნიშნული. თუ კალკულატორზე აიღებთ რიცხვს 4, ხოლო შემდეგ $N!$ -ის შესაბამის კლავიშს დააჭერთ თითს, მიიღებთ 24-ს; ხოლო თუ კალკულატორზე აიღებთ რიცხვს 5, ხოლო შემდეგ $N!$ -ის შესაბამის კლავიშს დააჭერთ თითს, მიიღებთ 120-ს.

მხატვარი **თაა მიქაია**

დავკალება

დამოუკიდებლად გამოთვალეთ $6!$ (მითითება. $6! = 6 \times 5! = 6 \times 120$). მიღებული პასუხი შეამოწმეთ საინ-

ჟინრო მიკროკალკულატორის მეშვეობით.

გაიხსენეთ, რამდენი მერხია თქვენს საკლასო ოთახში და საინჟინრო მიკროკალკულატორის მეშვეობით გამოთვალეთ, რამდენნაირად შეიძლება მათზე იმავე რაოდენობის მოსწავლეთა განაწილება.



რეზერვუარი ლანარეზუნი

მანანა ჯონარიძე



შენ კი სკილან ბრწყინდი?

ლეღჩევი არ ბინახავთ?



ლეღიშო ვითხრა დაეიტყაღე, ვაღე დაჯუბრუნღევიშო.

ვერღე, რრატშო არ დაჯუბრუნღე?

მომხუინღე ლოღინი და წამოვადი.



რა ბევიკ, ვატარკ?

არკუერი.



რამ, რამ? ესეტი სხელი ვირეულკდ ვესეის?!

ვირეულკდ! ვირეულკდ!



სხელი არ ბევის, რეამ კარბო?

სხელი ვარ არ ვევის, ეს-ლეხან დაეიბეღე.



სპიდაუს სანაღი



არა კი არა,
არა!

სახელი უვლას
კავს მე ჩემი
მეგობარი, ამას არა...

ამას კიდე
ვიცი.



მე კი ...
მე სახელი არა
მეგობარს ...

ესა რომორ უნიკალა?!
უსახელო სომა არ
ინება?



მოვიფიქრა!
ჩემი სახელი
დავპარავათ!

კი, ჭკვიანი?!
სად უნ და სად
სვილო?!

უაჯობესია
დავპარავათ არა!
მეგობარს!
თქმას რა კარგად
ქვარს?!



ჯობია, ისეთი რა
ქვარს, რომ ტვილი-
ის იქონ და გეგრი-
ულით. უნებლეთ რა
საუპარავია?!

პი...პი...პიიი.....



თავლით რა,
დათვია? უკ, რა
სისულულეს
იმონებ სილო?

მურავა!
ტორტი!
ინება
თავლით?





როგორს ვითხრას,
ღღუს კე სვილო
დაიზადა,
სოე არ იხიო...

ვიხიო! ვიხიო!
ეხ არის, ეხ!



მეუ ღაგაღუზის
ღღუ გაგუს,
კატაკუ?

ღიას!



ეს ღაგაღუზის ღღის
საგუაგია, უგაგრიღუგი
ზიგვიტი!



ზიგვიტი
კატაკია!

ზიგვიტი! ზიგვიტი!
კი, რა უნღა ღა-
გატაკუ!

თჲს ტუვიღია ღა
გაგრიღუი,



საღა სარ უვიღო?!
უგაგოღ რატოა
საგოგუაღი?

ღაღი, მე
სასეღი ღაგატარ-
გეგუს!
ზიგვიტი!

თჲ, რა
გაგანიგარი სასეღია?!
უგაგთეგუს ვერს
გოგვიღიგარეგული!



პ ა ლ ი

სპარსული ხალხური ზღაპარი

ერთხელ ზამთრისპირს დიდი ჭიანჭველა გზად პატარა ჭიანჭველას შემოხვდა და უთხრა:

– მისმინე, მეგობარო! ცოტაოდენი ფქვილი თუ მოგეძიება, ვალად მომეცი და ხორბალი შემოვა თუ არა, ვალს ერთიორად გადაგიხდით.

ჭიანჭველა დათანხმდა და თავისთან წაიყვანა.


გაუდგნენ გზას. წინ დიდი ჭიანჭველა მიდიოდა, უკან – პატარა. უცბად ჭიანჭველამ შეამჩნია, რომ დიდი კარგა მანძილით წინ წასულიყო, მოახედა და უთხრა:

– ეი, მეგობარო, ჯერ კიდევ არ მომიცია შენთვის ფქვილი და ვერ გენევი, ჩემი მოვალე რომ გახდები, მაშინ რაღა იქნებაო?

იმედია, კარგად იცი ქართული ანბანი და ანბანში ასო-ნიშანთა თანმიმდევრობა. მაშინ არ გაგიჭირდება ჭიანჭველა სახლამდე მშვიდობით მიიყვანო.



რ	ლ	მ	ჭ	ხ	ა		
ნ	ი	რ	ნ	ჯ	ჰ		
ა	ტ	ე	ძ	ც	შ	ბ	ა
ო	გ	ღ	ე	ჩ	შ	ყ	რ
ლ	ბ	ზ	ვ	ყ	ჭ	შ	ა
ნ	ა	თ	ი	კ	ლ	მ	ც
		ს	ჰ	ვ	ლ	ნ	შ
		ი	ა	ჟ	რ	ს	ტ



ყმაღალი ჭილა

ნათია ჯანაშია

– ფისუნია, ფისო,
ნუ მიბურღავ ძაფებს,
ზამთრისათვის გიქსოვ
წინდებსა და კაბებს.

– ნუ ირჯები უქმად,
შენთვის არვის უთქვამს? –

წინდებსა და კაბებს
არასოდეს ვიცვამ,
სიცვიდან ხემა
თბილი ქურქი მიცავს.



მამ გააცოცა წინილა

კრუსი მოწეენილია,
გაუცივდა წიწილა,
აცემინებს ძალიძალ,
ცრემლებსა ერის წვრილ-წვრილად.

აკრიანდნენ დედლები,
ხმა გავარდა მესივით,

ავადმეოფთან მაშინვე
გახნდა უბნის ეკიმი.

დაამშვიდა ქათმები:
– ზამთარია, აცივდა,
თბილად რომ არ აცვია,
იმიტომაც გააცივდა.

– სად მაქვს თბილი სამოსი? –
გაკვირვა წიწილამ.
– ამიტომაც დედის ფრთებს
შეეფარე ხშირ-ხშირად!

კრუსს ხვენც შევეწოთო,
გადაწვეიტეს ქათმებმა:
– წიწილები გაუუთბოთ,
სანამ ცოტა დათბება!



მხატვარი
ლიკა დამატრასვილი



ფოსტო კონკურსი

ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ, სახალისო ფოტოებს, რომლის მთავარი გმირი 10 წლამდე ბავშვი იქნება.

კონკურსის პირობები: გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ მხოლოდ კარგი ხარისხის ფოტოები; რადგანაც ეს ფოტოკონკურსი ინდივიდუალურია, ბავშვი წინა პლანზე მსხვილი ხედით უნდა ჩანდეს;

ფოტოები განთავსდება „დილის“ facebook-ის გვერდზე: **საბავშვო გამომცემლობა „დილა“**.

ამ გვერდის სტუმრებს საშუალება ექნებათ, ხმა მისცენ მოწონებულ ფოტოს და, თუ სურვილი ექნებათ, კომენტარის სახით დაგვიტოვონ სახალისო ფრაზა ამ ფოტოსთვის. თვეში ერთხელ, მიღებული ხმების გათვალისწინებით, გამოვლინდება გამარჯვებული ფოტო და დაიბეჭდება ჟურნალში.

გამარჯვებული ფოტო-გმირი დასაჩუქრდება „დილის საყმაწვილო ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი გამომცემით. პრიზი გადაეცემა საუკეთესო ფოტომინანერის ავტორსაც.

ფოტოს გამოგზავნა შეგიძლიათ ელ-ფოსტის მისამართზე: dila1904@yahoo.com ან facebook-ის გვერდზე: საბავშვო გამომცემლობა „დილა“.



ანი ჩადომსხვიდი

დილა



2014



ნანა



თაქა

გამოიწერეთ „დილა“



ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ, წლის განმავლობაში 12 ნომერი. ჟურნალის საცალო გასაყიდი ფასი არის 2.50 ლარი, ხელმოწერის შემთხვევაში - 2 ლარი. ერთ წლით გამოწერის ფასი შეადგენს 24 ლარს, ექვსი თვით - 12 ლარს.

ჟურნალის ხელმოწერები ისარგებლებენ განსაკუთრებული შეღავათებით:

- „დილა“ დაბადების დღეს მიულოცავს თითოეულ ხელმოწერს და გამოაქვეყნებს მის ფოტოს;
- წერისა და ხატვის ნიჭით დაფილდოებულ ბავშვებს „დილა“ დაუთმობს თავის გვერდებს;
- მათ, ვინც ერთი წლით გამოიწერს ჟურნალს, პირველ ნომერთან ერთად საჩუქრად გადაეცემათ გამომცემლობა „დილის“ ერთი წიგნი („კუდა-კუდა მოთხრობები“, საბავშვო პროზის ანთოლოგია, „ქართული ხალხური ზღაპრები“ ან „მითები და ლეგენდები“). არჩევანი შეგიძლიათ თავად გააკეთოთ;
- იმათ, ვინც 6 თვით გამოიწერს ჟურნალს, ეძლევათ შანსი, 10%-იანი ფასდაკლებით შეიძინონ „დილის“ ყველა წიგნი.

ჟურნალის გამოწერის ინსტრუქცია:
ამისთვის საჭიროა დარეკოთ პრესის გავრცელების სააგენტოებში:
საქპრესა (ტელ: 2 51 85 18, 577 97 90 20 (თბილისი), 579 79 66 06 (ქუთაისი), 579 79 66 02 (თელავი), 579 79 66 08 (რუსთავი), მაცნე (ტელ: 2 147422),
პრესექსპრესი (ტელ: 2 962311), პრესა 2012 (ტელ: 2 340935);
ან გამოიწერეთ სახლიდან გაუსვლელად ვებგვერდის www.elva.ge (ტელ: 2 14 74 22) საშუალებით.

დილა

მთავარი რედაქტორი: ღოღო ნიჟიანიძე
ნახატი ყდაზე: ლაშა სულაკაურის

„დილის“ რედაქცია მადლობას უხდის ამხანაგობა „ედემს“ გასულ წელს ჟურნალისთვის
განუხლებული ფინანსური მხარდაჭერისთვის

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი

